ჩემპიონატი

http://football.mojgorod.ru/cgi-bin/rus/result.cgi?f=v1938&cl=8
დაამატა **ერლან მანაშევმა**

“სტალინეცი" (მოსკოვი) - "დინამო" (თბილისი) - 0:0
26 ივნისი. მოსკოვი. სტადიონი "სტალინეცი". 15 000 მაყურებელი.
მსაჯი ფ. ზახაროვი (ლენინგრადი).

“სტალინეცი" : ბოროდასტოვი, კარელინი, პჩელიკოვი, ანტონევიჩი, კოზლოვი, ზილბერშტეინი, შუმოვი, ივანოვი, კოჟინი, გუსკოვი, მიხაილოვი.

"დინამო": დოროხოვი, შავგულიძე, ჭუმბურიძე, ჯორბენაძე, მინაევი, კიკნაძე, გავაშელი, ბერძენიშვილი, პაიჭაძე, ბერეჟნოი (ლოლაძე), აფრიდონიძე.

“დინამო” (თბილისი) – “სტალინეცი” (მოსკოვი)

(მოსკოვი. ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

26 ივნისს, მოსკოვის “სტალინეცის” სტადიონზე ჩატარდა საბჭოთა კავშირის პირველობის გათამაშების კალენდარული მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ: თბილისის “დინამოს” და მოსკოვის “სტალინეცის” ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები.

ძლიერმა წვიმამ საგრძნობლად შეუშალა ხელი ორივე გუნდს თავიანთ ტექნიკური თამაშის გამომჟღავნებაში. ატალახებულ მოედანზე წყლით გაჟღენთილ ბურთს ჩვეულებრივად ვერ იმორჩილებდნენ თბილისის “დინამოელები”. კარგად თამაშობდნენ “სტალინეცის” დამცველები. მათ ენერგიული და ზუსტი თამაშით დინამოელთა თავდამსხმელების ყოველგვარი კომბინაციური შეტევები მოიგერიეს. თამაშის პირველი ნახევრის დამთავრებამდე დოროხოვმა აიღო სამი მეტად საშიში ბურთი.

პირველი ტაიმი დამთავრდა უშედეგოდ – 0:0.

თამაშის მეორე ნახევარი თბილისელთა უპირატესობით მიმდინარეობს. “სტალინეცის” მოთამაშეებმა დაიწყეს უხეშობა. დაშავებული ბერეჟნოი შესცვალა ლოლაძემ. თბილისელთა უპირატესობა კვლავ გრძელდება, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში ვერ იყენებენ ანგარიშის გახსნის მრავალ შესაძლებლობებს.

“სტალინეცის” მოთამაშეები კვლავ განაგრძობენ უხეშობას. მათმა ერთ-ერთმა მოთამაშემ – შუმოვმა კბილებიც კი გამოიყენა მოწინააღმდეგის დასაშავებლად. მან კბენით საგრძნობლად დაუშავა ბეჭები ჭუმბურიძეს, მაგრამ მსაჯმა ზახაროვმა (ლენინგრადი) “ვერ შეამჩნია”.

“სტალინეცის” მოთამაშეთა მხრივ, უხეშობით აღსავსე მატჩი დამთავრდა ფრედ – 0:0.

“მუშა”, 27 ივნისი, 1938 წ.